ქართული კრედიტი
GEORGIAN CREDIT

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

2025 წელი

პირველადი რედაქცია 2024 წლის აგვისტო

გიორგი სამადაშვილი

eSigned by:
გიორგი სამადაშვილი: ab155d35-584d-43ee-ac....
Certified by Signify

სარჩევი

1. შესავალი 3
2. პოლიტიკის გავრცელების სფერო 3
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონფიდენციალურობა 4
4 . ტერმინთა განმარტება 4
5 . პერსონალურ მონაცემთა ჯგუფები 4
6. არასრულწლოვანის მონაცემების დამუშავება 5
7. გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემების დამუშავება 5
8. აპლიკანტის პერსონალური მონაცემების დამუშავება 5
9. ვიდეო და აუდიომონიტორინგის განხორციელება 6
10. კომპანიის ინტერნეტ ბანკით სარგებლობის წესი 7
11. პირდაპირი მარკეტინგი 7
12. წყაროები, საიდანაც კომპანია მოიპოვებს მონაცემებს 8
13. "მზა ჩანაწერები"/"ქუქი ფაილები" (Cookies) 8
14. მონაცემების დამუშავების პრინციპები 9
15. მონაცემების დამუშავების საფუძვლები 9
16. მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა 10
17. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება მონაცემების შეგროვებისას 11
18. პერსონალური მონაცემების გაზიარება 12
19. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა 12
20. მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღება 13
21. მონაცემთა გაცნობა და ასლის მიღება 14
22. მონაცემთა გასწორება, განახლება და შევსება 15
23. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების წესი 16
24. მონაცემთა დაბლოკვა 18
25. მონაცემთა გადატანის უფლება 19
26. თანხმობის გამოხმობა 19
27. მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა 20
28. ინციდენტზე რეაგირების წესი 21

29. კომპანიაში არსებული ძირითადი მონაცემების სახეები, მათი შეგროვების/მოპოვების წყაროები და დამუშავების საფუძვლები 22
ა) კომპანიაში დასაქმებულ პირთა პირადი საქმეების წარმოება 22
ბ) კომპანიაში დასაქმების მსურველ პირთა პირადი საქმეების წარმოება 23
გ) კლიენტთა/მსესხებელთა პირთა პირადი საქმეების წარმოება 24
30. საკონტაქტო ინფორმაცია 24

1. შესავალი

სააქციო საზოგადოება „მისო ქართული კრედიტი“ (შემდგომში - კომპანია):
საიდენტიფიკაციო ნომერი: 206238800;
იურიდიული მისამართი: გურამ ფანჯიკიძის ქუჩა, შესახვევი I, N8, 0160, თბილისი, საქართველო
რეგისტრაციის თარიღი: 13 აპრილი, 2006 წელი.
არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლის მისიაა შექმნას ახალი შესაძლებლობები მცირე მეწარმეებისთვის და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.
სს “მისო ქართული კრედიტისთვის”, როგორც პასუხისმგებლიანი კომპანიისთვის, მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა მაღალი ხარისხით დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე მონაცემთა დამუშავების პროცესის საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, აღწეროს კომპანიაში მიმდინარე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესი და განსაზღვროს შესაბამისი ვალდებულებები.
წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი პოლიტიკა (შემდგომში „პოლიტიკა“) ეხება ყველა იმ ფიზიკურ პირს (კლიენტები, დასაქმებულები, კონტრაქტორები და სხვა - შემდგომში „მონაცემთა სუბიექტი“), რომელთა შესახებ კომპანია ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს (შემდგომში - „მონაცემი“).
კომპანიაში პერსონალური მონაცემების დამუშავება და დაცვა ხდება საქართველოს კონსტიტუციის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა შესაბამისი ეროვნული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებისა და საერთაშორისო სტანდარტების/აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

2. პოლიტიკის გავრცელების სფერო

წინამდებარე პოლიტიკა სრულად ვრცელდება კომპანიის მიერ პერსონალური მონაცემების ავტომატური, ნახევრად ავტომატური, ან არაავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე.
აღნიშნული პოლიტიკა ვრცელდება კომპანიის მომხმარებლებზე, კომპანიის დასაქმებულებზე, კონტრაქტორებზე, ყველა იმ პირზე, რომელთა მონაცემებიც მუშავდება „კომპანიის“ მიერ, ასევე, მონაცემთა მიმღებზე და იმ უფლებამოსილ პირებზე, რომლებიც კომპანიის სახელით ან მისთვის ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს.

3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონფიდენციალურობა

კომპანია იძლევა გარანტიას, რომ:

- იზრუნებს მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებაზე;
- არ გამოიყენებს პერსონალურ მონაცემებს არამართლზომიერად;
- იმოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4 . ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ტერმინები განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

5 . პერსონალურ მონაცემთა ჯგუფები

კომპანია საქმიანობის განხორციელებისას აგროვებს და ამუშავებს შემდეგ პერსონალურ მონაცემებს:

- **საიდენტიფიკაციო მონაცემები** - სახელი, გვარი, სქესი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი/პასპორტის ნომერი (პირადობის მოწმობის/პასპორტის მონაცემები), მოქალაქეობა, მართვის მოწმობის მონაცემები;
- **საკონტაქტო ინფორმაცია** - ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი;
- **სოციო-დემოგრაფიული** - დასაქმების/პროფესიის შესახებ ინფორმაცია, სამხედრო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია, განათლება.
- **სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული მონაცემები** - ოჯახური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია ოჯახის წევრების, მათ შორის შვილების შესახებ; საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაცია;
- **ფინანსური** - ფინანსური მდგომარეობა; სტატუსი და ფინანსური საქმიანობის ისტორია; საკრედიტო ისტორია; კრედიტუნარიანობა; კომპანიაში ფინანსური პროდუქტის გამოყენების ისტორია; ფინანსური ისტორია, მათ შორის ვადაგადაცილებები; შემოსავლების შესახებ ინფორმაცია; ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის საბანკო ანგარიშის ნომერი; ანგარიშზე განხორციელებული შემოსავალი/გასავალი; ანგარიშიდან განხორციელებული გადახდები/გადარიცხვები; ტრანზაქციების განხორციელების დრო და ადგილი; ბარათის ინფორმაცია (ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა, ბარათის CVC კოდი);
- **საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია** - ინფორმაცია, რომელსაც კომპანია მოიპოვებს პირის შესახებ ინტერნეტში განთავსებულ საჯაროდ/ღიად/კანონიერად ხელმისაწვდომი ბაზებიდან/სიებიდან/გვერდებიდან;
- **განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები** - ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემები; მონაცემები, რომელიც უკავშირდება ნასამართლობას. მონაცემები, რომელიც უკავშირდება ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას;

- **ტექნიკური ინფორმაცია** - ინფორმაცია პირების/მომხმარებლის მიერ გამოყენებული მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების შესახებ;
- **სხვა ინფორმაცია** - ყველა ის ინფორმაცია, რასაც პირი კომპანიას გაუზიარებს ვებ-გვერდის მეშვეობით. ასევე, ინფორმაცია, რომელსაც კომპანია მოიპოვებს როგორც მატერიალური ფორმის, ასევე ელექტრონული წერილებიდან, სატელეფონო და სხვა სახის საკომუნიკაციო არხებიდან.

კომპანიამ შესაძლოა მომავალში, კანონდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლით, შეაგროვოს და დაამუშაოს სხვა პერსონალური მონაცემი, მათ შორის:

- გენეტიკური და ბიომეტრიული მონაცემები; მონაცემები, რომელიც უკავშირდება ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას;
- IP მისამართი და ქუქი ფაილები.

6. არასრულწლოვანის მონაცემების დამუშავება

6.1 კომპანიაში არასრულწლოვანის შესახებ მონაცემები, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, მუშავდება მხოლოდ შრომითი ურთიერთობების ჭრილში, დასაქმებულის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებითა თუ კომპანიის შინაგანაწესით განსაზღვრული სარგებლის მიღების მიზნით.

6.2 კომპანიაში არასრულწლოვანის მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, მუშავდება და ამ მონაცემების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება ბავშვთა საუკეთესო ინტერესის დაცვის პრინციპის გათვალისწინებით.

6.3 კომპანია 16 წლამდე არასრულწლოვანის მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს და 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი პირის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

6.4 არასრულწლოვანის მონაცემების, მათ შორის დამუშავების თაობაზე მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას კომპანია იღებს წერილობითი ფორმით, სადაც მკაფიოდ და ნათლად არის გაწერილი ამ მონაცემების დამუშავების საფუძველი და მიზანი.

7. გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემების დამუშავება

გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემები მუშავდება კომპანიის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისა და კომპანიის სახელშეკრულებო უფლებამოსილებების/ინტერესების რეალიზაციის მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

8. აპლიკანტის პერსონალური მონაცემების დამუშავება

ორგანიზაცია უფლებამოსილია დაამუშავოს იმ პირის პერსონალური მონაცემები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ პირის (შემდგომში - აპლიკანტი) დასაქმების ან/და სტაჟირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუ კონკრეტულ პოზიციაზე განსახილველ

აპლიკანტს უარი ეთქვა დასაქმებაზე, აპლიკანტმა ვერ გაიარა შერჩევის პროცესი ან გამოსაცდელი ვადა დაასრულა წარუმატებლად, აპლიკანტის პერსონალური მონაცემები ექვემდებარება განადგურებას გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს აპლიკანტის თანხმობა მისი მონაცემების შემდგომ დამუშავებაზე (მაგ. მისი კანდიდატურის მომავალში სხვა პოზიცი(ებ)ზე განხილვის მიზნით) ან/და თუ არსებობს მონაცემთა შენახვის სხვა სამართლებრივი საფუძველი.

9. ვიდეო და აუდიომონიტორინგის განხორციელება

9.1 დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის/მოკვლევის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, საიდუმლო (კონფიდენციალური) ინფორმაციის დაცვის და ლეგიტიმური ინტერესების სფეროსთვის მიკუთვნებული სხვა მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად, (მათ შორის, ინციდენტების მართვა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, პროცესების მონიტორინგი, რისკების მართვა და სხვ.) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, კომპანიაში მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე და შიდა პერიმეტრის, მათ შორის, შეხვედრების ოთახების, მომსახურების სივრცეების და სამუშაო ადგილ(ებ)ის ვიდეო-აუდიო მონიტორინგი ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით (შემდგომში - მონიტორინგი).

9.2 მონიტორინგი ხორციელდება 24/7 საათის განმავლობაში, ხოლო ჩანაწერები ინახება _იმ ვადით, რაც საჭიროა კონკრეტული მიზნის მისაღწევად, რის შემდეგადაც ექვემდებარება ავტომატურ განადგურებას, თუ არ არსებობს მონაცემთა უფრო ხანგრძლივი ვადით შენახვის საჭიროება და სამართლებრივი საფუძველი.

9.3 ინფორმირების უზრუნველსაყოფად, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები, რომელიც შეიცავს ინფორმაციას როგორც ვიდეო, ასევე, აუდიოჩაწერის თაობაზე.

9.4 ორგანიზაციის მიერ მიღებულია ყველა შესაბამისი ქმედითი და ადეკვატური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჩანაწერებში ასახული მონაცემების უკანონო/შემთხვევითი გამჟღავნება, მათი არასასურველი მიზნით გამოყენება, გავრცელება და სხვა, მათ შორის:

ა)უზრუნველყოფილია მონიტორინგის სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება; მონიტორინგის სისტემა და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა განთავსებულია დაცულ ოთახშ(ებ)ი, სადაც დაიშვებიან მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირები;

ბ)ჩანაწერებზე წვდომა მინიჭებული აქვს დასაქმებულ პირთა მხოლოდ განსაზღვრულ წრეს, რომელთა წვდომის დონის და ფარგლების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება თანამშრომელთა ფუნქციები და ჩანაწერებზე მათი წვდომის სამსახურებრივი საჭიროება;

გ)მიღებულია შესაბამისი ზომები სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის, ინტერნეტიდან და კომპიუტერული ქსელიდან უკანონო შეღწევის პრევენციის მიზნით;

დ)სრულად აღირიცხება მონიტორინგის სისტემებში არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება;

ე)აღირიცხება ჩანაწერების გამჟღავნების ყველა შემთხვევა.

9.5 შენახულ ვიდეოჩანაწერებზე წვდომა, მათი დათვალიერება და რიგ შემთხვევებში, მესამე პირებისთვის გადაცემა შესაძლოა, საჭირო გახდეს სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, თუ არსებობს ეჭვი, რომ ვიდეოჩანაწერზე ასახულია დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის (მათ შორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის) ფაქტი, შესაბამის ჩანაწერზე წვდომის

ინტერესი უჩნდება საქმის მწარმოებელ ორგანოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების მიზნებისთვის.
9.6 ჩანაწერების დათვალიერებასა და მესამე პირ(ებ)ისთვის (მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოსთვის) გამჟღავნება ხორციელდება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში.
9.7 სატელეფონო კომუნიკაციისას ზარების ჩანაწერების სისტემის (აუდიომონიტორინგი) მეშვეობით ავტომატურად ხორციელდება ცხელ ხაზზე, ასევე, ცხელი ხაზის მეშვეობით შესაბამის შიდა ნომერზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემავალი ან აღნიშნული ნომრ(ებ)იდან გამავალი ზარების ჩაწერა და დამუშავება მომსახურების სრულყოფისა და ჯეროვნად შესრულების, განცხადებების, პრეტენზიების განხილვისა და რეაგირების, ეთიკის კოდექსისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვის მონიტორინგის, ასევე სხვა ლეგიტიმური ინტერესების დაცვის (მათ შორის, იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულების შექმნა) მიზნებისათვის, ან კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ასევე, სადაც საჭიროა თქვენი თანხმობის საფუძველზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

10. კომპანიის ინტერნეტ ბანკით სარგებლობის წესი

10.1 კომპანიას შესაძლოა გააჩნდეს ინტერნეტ ბანკით სარგებლობის მომსახურება.
10.2 ინტერნეტ ბანკის საშუალებით კლიენტს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია სესხის ოდენობის, გადახდის გრაფიკისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის შესახებ. ინტერნეტ ბანკში რეგისტრაციისთვის კლიენტი უთითებს თავის პერსონალურ მონაცემებს, რათა მოხდეს მისი იდენტიფიცირება და ინტერნეტ ბანკში მისი პროფილის/ანგარიშის შექმნა.
10.3 მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, კომპანია უფლებამოსილია გააკონტროლოს კლიენტების ქცევა კომპანიის ინტერნეტ ბანკით სარგებლობისას. მონიტორინგი არ გულისხმობს პერსონალური/კონფიდენციალური/კომერციული ინფორმაციის შეგროვებას ან სხვაგვარად დამუშავებას. მონიტორინგის მიზანია არა მომხმარებელთა გამოვლენილი ქცევის ანალიზი, არამედ მათი ზოგადი აქტივობის შესწავლა.
10.4 კომპანიის ინტერნეტ ბანკის გამოყენებისას თქვენი მოწყობილობის ID, მოდელი, ბრენდი, სახელი, OS ვერსია, ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა ანალიტიკური პროგრამებისთვის.

11. პირდაპირი მარკეტინგი

11.1 პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემები მუშავდება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც ინახება კომპანიაში.
11.2 მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მიღებამდე და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისას კომპანიის მიერ მონაცემთა სუბიექტს ნათლად, მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე განემარტება მის მიერ თანხმობის ნებისმიერ დროს გამოხმობის უფლება და ამ უფლების განხორციელების მექანიზმი/წესი.
11.3 კომპანია წყვეტს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავებას მონაცემთა სუბიექტის შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა.
11.4 კომპანია უზრუნველყოფს, რომ მონაცემთა სუბიექტს შესაძლებლობა ჰქონდეს, მოითხოვოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა იმავე ფორმით, რომლითაც პირდაპირი მარკეტინგი ხორციელდება, ან განსაზღვრავს სხვა

ხელმისაწვდომ და ადეკვატურ საშუალებას მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნისთვის.

11.5 კომპანიის მიერ შემუშავებული/შექმნილი, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის მექანიზმი წარმოადგენს მარტივ პროცედურას, ვინაიდან მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია გამოითხოვოს მისი თანხმობა იმავე ფორმით, რაც ფორმითაც გასცა იგი. ამასთანავე, მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიიღოს კომპანიის ცხელი ხაზის საშუალებით მკაფიო და ადვილად აღსაქმელი მითითება ამ საშუალების გამოყენების შესახებ.

11.6 მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობა არის უსასყიდლო და აკრძალულია მასზე საფასურის ან სხვა რაიმე შეზღუდვის დაწესება.

11.7 კომპანია აღრიცხავს მონაცემთა სუბიექტის მიერ მის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მიცემისა და თანხმობის გამოხმობის დროს და ფაქტს და ინახავს პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების ვადით და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების შეწყვეტიდან იმ ვადით, რაც საჭიროა კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

11.8 პირდაპირი მარკეტინგის კანონიერად განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის აქტით.

12. წყაროები, საიდანაც კომპანია მოიპოვებს მონაცემებს

მონაცემთა სუბიექტებისგან მონაცემების მიღება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც პირი ხდება კომპანიის მომხმარებელი;
- როდესაც პირი აგზავნის განაცხადს კომპანიაში არსებული ვაკანტური ადგილის დასაკავებლად;
- როდესაც პირი ხდება კომპანიის თანამშრომელი;
- როდესაც პირთან ფორმდება მომსახურების თუ სხვა ტიპის ხელშეკრულება;
- როდესაც პირი იყენებს კომპანიის პროდუქტსა და მომსახურებას;
- სატელეფონო კომუნიკაციისას ან კომპანიაში/ფილიალში ვიზიტისას;
- როდესაც პირი იყენებს კომპანიის ვებგვერდს (სესხზე განაცხადის შევსება, პრეტენზიის წარდგენა);
- როდესაც პირი აგზავნის წერილებს ფოსტით ან ელ. ფოსტით;
- როდესაც პირი ახორციელებს ტრანზაქციებს;
- როდესაც პირი სარგებლობს ინტერნეტ ბანკის მომსახურებით;
- კომპანია მონაცემებს აგროვებს ისეთი ორგანიზაციებიდან, როგორებიცაა საჯარო რეესტრი, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, საკრედიტო სააგენტოები, სხვა ფინანსური ინსტიტუტები და საჯარო ორგანიზაციები;
- გარდა ამისა, კომპანია მონაცემებს აგროვებს ასევე სხვა, ინტერნეტში განთავსებულ საჯაროდ/ღიად/კანონიერად ხელმისაწვდომი ბაზებიდან/სიებიდან/გვერდებიდან;
- როდესაც პირი ესწრება კომპანიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას;

13. "მზა ჩანაწერები"/"ქუქი ფაილები" (Cookies)

13.1 კომპანიას უფლება აქვს ვებგვერდის მომხმარებელთა ქცევის მონიტორინგი განახორციელოს ე.წ. „მზა ჩანაწერების" (cookies) საშუალებით, ვიზიტორებისათვის ვებგვერდით სარგებლობის გაადვილებისა და მისი ფუნქციონირების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

13.2 „მზა ჩანაწერები“ მცირე ზომის ფაილებია, რომლებიც საიტზე ვიზიტისას ინახება მომხმარებლის კომპიუტერში, პლანშეტში ან მობილურ მოწყობილობაში. ისინი რჩება მომხმარებლის მოწყობილობაში და საიტს უბრუნდება, როცა კვლავ ეწვევით იმავე მისამართს.

13.3 კომპანია მზა ჩანაწერების მეშვეობით მონაცემების მიღებამდე, შექმნის მზა ჩანაწერების პოლიტიკას, რომელიც განთავსდება მის ვებგვერდზე, ყველა ვიზიტორისთვის/მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი ფორმით. გროვდება შემდეგი კატეგორიის ინფორმაცია:

- IP მისამართი, მოწყობილობის ტიპი, საოპერაციო სისტემა და ბრაუზერი საიდანაც ხდება აპლიკაციაში შემოსვლა.
- გროვდება ინფორმაცია ვებგვერდზე გახსნილი გვერდების, სესიის ხანგრძლივობის და სესიის სხვადასხვა პარამეტრების შესახებ.
- ინფორმაცია იმ ქმედებების შესახებ რომელიც ვებგვერდზე მოხდა:
- ფორმების შევსება, აპლიკაციის ინტერაქციული ელემენტების გამოყენება და ა.შ.
- ვებ-გვერდზე ველების შევსების პროცესი, დრო და ფორმა.

14. მონაცემების დამუშავების პრინციპები

კომპანიის მიერ პერსონალური მონაცემები მუშავდება შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) მონაცემები მუშავდება კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად;

ბ) მონაცემები გროვდება/მოიპოვება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;

გ) მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერია, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება;

დ) მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები სწორდება, იშლება ან განადგურდება გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

ე) მონაცემები ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი იშლება, განადგურდება ან ინახება დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება განსაზღვრულია კანონით ან/და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით და მონაცემთა შენახვა აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად;

ვ) მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებულია ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

15. მონაცემების დამუშავების საფუძვლები

კომპანია მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი;

ა) მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;

ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;
გ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
ე) კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;
ვ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ეპიდემიის მონიტორინგის ან/და მისი გავრცელების აღკვეთის, ჰუმანიტარული კრიზისების, ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფების სამართავად;
ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვის, მათ შორის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის, მიზნებისთვის;
ი) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
კ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

16. მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა

16.1 კომპანიაში მიღებულია სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, მონაცემთა კანონიერად დამუშავების უზრუნველსაყოფად.
16.2 კომპანიის მიერ მიღებულია შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები ელექტრონულად და ფიზიკურად არსებული მონაცემების კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.
16.3 კომპანიაში აღირიცხება ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება (მათ შორის, ინციდენტების შესახებ, მონაცემთა შეგროვების, შეცვლის, მათზე წვდომის, მათი გამჟღავნების (გადაცემის), დაკავშირებისა და წაშლის თაობაზე ინფორმაციის). არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას, კი, აღირიცხება მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება (მათ შორის, ინციდენტების შესახებ ინფორმაციის).
16.4 კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის აქტით, კომპანიის თანამშრომლების უფლებამოსილების შესაბამისად, განისაზღვრება პერსონალურ მონაცემებზე წვდომის ფარგლები (მონაცემების კატეგორიის მითითებით).
16.5 იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაცია განახორციელებს მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემას, მათ შორის, ინფორმაციის სხვა ქვეყნის რეზიდენტი პირ(ებ)ისათვის გადაცემას, ორგანიზაცია უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა გადაცემის შესახებ შესაბამისი

ხელშეკრულების გაფორმებას, რომლითაც კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, განისაზღვრება მიმღები მხარის ვალდებულებები პერსონალურ მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად.

17. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება მონაცემების შეგროვებისას

17.1 კომპანია უფლებამოსილია მონაცემები შეაგროვოს როგორც უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან, ისე სხვა წყაროებიდან. ორივე შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:

ა) კომპანიის, მისი წარმომადგენლის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია;

ბ) მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;

გ) მონაცემთა მიწოდების სავალდებულოობის შესახებ, ხოლო თუ მონაცემთა მიწოდება სავალდებულოა – მონაცემთა მიწოდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგების თაობაზე, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მონაცემთა შეგროვება/მოპოვება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების დასადებად (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში);

დ) კომპანიის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების შესახებ, თუ მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ე) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;

ვ) მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) მონაცემთა დაგეგმილი გადაცემისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შესახებ, მათ შორის, მონაცემთა გადაცემაზე ნებართვის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი გეგმავს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემას;

თ) მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;

ი) მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით გათვალისწინებული უფლებების შესახებ.

17.2 იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემების შეგროვება ხდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან, 17.1. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მას უნდა მიეწოდოს მონაცემთა შეგროვებამდე ან შეგროვების დაწყებისთანავე.

17.3 იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემების შეგროვება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან არ ხდება, კომპანია ვალდებულია დამატებით აცნობოს მას მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება და ამ მონაცემთა მოპოვების წყარო, მათ შორის, მოპოვებულ იქნა თუ არა მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან.

17.4 იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემების შეგროვება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან არ ხდება, კომპანია ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს 17.1 და 17.3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია გონივრულ ვადაში, ან, თუ მონაცემები გამოიყენება მონაცემთა სუბიექტთან დასაკავშირებლად, მასთან პირველი კომუნიკაციისთანავე, ხოლო თუ დაგეგმილია მონაცემთა გამჟღავნება, – მონაცემთა გამჟღავნებამდე, მაგრამ მონაცემთა მოპოვებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ კი არ არსებობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის საფუძვლები.

18. პერსონალური მონაცემების გაზიარება

18.1 კომპანიამ შესაძლებელია, კონკრეტული დავალების შესასრულებლად, პერსონალური მონაცემები გაუზიაროს მესამე მხარეს, იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია, ძირითადი საქმიანობის ფარგლებში, იყენებს მესამე მხარეების, სხვა პროვაიდერების მომსახურებას. მაგალითად:

- ვებ-ინსტრუმენტების ან/და აპლიკაციების დიზაინი, მიმდინარე საექსპლუატაციო მომსახურება;
- IT სერვისის პროვაიდერები, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ აპლიკაციის ან ინფრასტრუქტურის (მაგ., „cloud“) სერვისები;
- იურიდიული, აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურება, რომლებსაც კომპანიას აწვდიან იურისტები, ნოტარიუსები, მინდობილი პირები, აუდიტორული კომპანიები და სხვ.

18.2 კომპანიის მიერ მესამე პირისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემა ხდება მხოლოდ სამართლებრივი აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე, უნდა განისაზღვროს მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და მიზნები, დასამუშავებელ მონაცემთა კატეგორიები, მონაცემთა დამუშავების ვადა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის უფლებები და ვალდებულებები.

18.3 წერილობითი შეთანხმება აგრეთვე უნდა შეიცავდეს დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის შემდეგ ვალდებულებებს:

ა) დაამუშაოს მონაცემები მხოლოდ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის წერილობითი დავალების ან მითითების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს, რომ იმ ფიზიკურ პირს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ჰქონდეს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება;

გ) უზრუნველყოს მონაცემთა უსაფრთხოება ამ კანონის შესაბამისად;

დ) წაშალოს ან დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს გადასცეს მონაცემები ხელშეკრულების გაუქმების ან მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე წაშალოს მათი ასლები, თუ მათი შენახვის ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი;

ე) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილ ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია და ხელი შეუწყოს მის მიერ მონაცემთა დამუშავების მონიტორინგის განხორციელებას.

19. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა

19.1 კომპანიაში ელექტრონული ფორმით ან/და მატერიალური აღირიცხება პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

ა) კომპანიის, სპეციალური წარმომადგენლის (არსებობის შემთხვევაში), პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია;

ბ) მონაცემთა დამუშავების მიზნების შესახებ;

გ) მონაცემთა სუბიექტებისა და მონაცემთა კატეგორიების შესახებ;

დ) მონაცემთა მიმღების (მათ შორის, სხვა სახელმწიფოში არსებული მონაცემთა მიმღების ან საერთაშორისო ორგანიზაციის) კატეგორიების შესახებ;

ე) სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემთა გადაცემის, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების თაობაზე, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ნებართვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) მონაცემთა შენახვის ვადების შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, მათი შენახვის ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;

ზ) მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების ზოგადი აღწერა;
თ) ინციდენტების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
19.2 კომპანია ვალდებულია ზემოაღნიშნული ინფორმაცია შესაბამისი მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მიაწოდოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.
19.3 მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვასა და მოთხოვნის შემთხვევაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსხურისათვის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის აქტით.

20. მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღება

20.1 მონაცემთა ნებისმიერ სუბიექტს აქვს უფლება კომპანიისგან მოითხოვოს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:
ა) მის შესახებ იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;
ბ) მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ;
გ) მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
დ) მონაცემთა სუბიექტის ამ თავით გათვალისწინებული უფლებების შესახებ;
ე) მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას;
ვ) მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;
ზ) ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/სავარაუდო შედეგის თაობაზე.
20.2 ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია წერილობითი ფორმით, მოთხოვნის ელექტრონულ ფოსტაზე (info@geocredit.ge) გაგზავნის ან კომპანიაში ბეჭდური წერილობითი ფორმით წარდგენის გზით.
20.3 კომპანია წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ ინფორმაციას აძლევს მხოლოდ მონაცემთა სუბიექტს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, განცხადებას თან უნდა დაერთოს მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი ან მინდობილობა (პირის/განმცხადებლის მაინდენტიფიცირებელ დოკუმენტთან ერთად), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელია/მონაცემთა სუბიექტია კომპანიაში დასაქმებული პირი.
20.4 მონაცემთა სუბიექტის/უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სათანადო წესით, სამუშაო დღის ბოლომდე წარდგენილი განცხადება იმავე დღესვე რეგისტრირდება სათანადო წესით და გადაეცემა შემსრულებელს. არასამუშაო დროს ან/და უქმე და დასვენების დღეებში წარმოდგენილი განცხადება რეგისტრირდება შემდგომ/პირველივე სამუშაო დღეს და იმავე დღესვე გადაეცემა შესრულებელს.

20.5 თუ წარდგენილია ხარვეზიანი განცხადება, (მაგალითად, შეუძლებელია პირის იდენტიფიცირება ან განცხადება წარმოდგენილია წარმომადგენლის მიერ, თუმცა თან არ ერთვის მინდობილობა), ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს. წინამდებარე მუხლში განცხადებაზე რეაგირებისათვის განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყება განმცხადებლის მიერ ხარვეზის გამოსწორებისთანავე. თუმცა, აღნიშნული წესი შესაძლებელია არ იქნეს მხედველობაში მიღებული, თუ დაყოვნებამ შესაძლებელია, გამოუწორებელი ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტს და ამის შესახებ მონაცემთა სუბიექტი თავად მიუთითებს და კომპანიიას აქვს გონივრული საფუძველი, მიიჩნიოს, რომ განცხადება წარდგენილია მონაცემთა სუბიექტის მიერ.

20.6 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თავად აირჩიოს ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ფორმა. ამასთანავე, თუ მონაცემთა სუბიექტი სხვა ფორმით არ მოითხოვს ინფორმაციის მიწოდებას, მას ინფორმაცია მიეწოდება იმავე ფორმით, რომლითაც მოხდა ინფორმაციის მოთხოვნა.

20.7 კომპანია ვალდებულია მონაცემთა სუბიეტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია გასცეს მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი). ეს ვადა, განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ ეცნობება.

21. მონაცემთა გაცნობა და ასლის მიღება

21.1 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კომპანიაში გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსო.ნალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ან/და მონაცემთა ასლების გაცემისთვის გათვალისწინებულია საფასური.

21.2 მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების მოთხოვნა შესაძლებელია წერილობითი ფორმით, მოთხოვნის ელექტრონულ ფოსტაზე (info@geocredit.ge) გაგზავნის ან კომპანიაში ბეჭდური წერილობითი ფორმით წარდგენის გზით.

21.3 კომპანია, მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლებას აძლევს მხოლოდ მონაცემთა სუბიექტს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, განცხადებას თან უნდა დაერთოს მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი ან მინდობილობა (პირის/განმცხადებლის მაინდენტიფიცირებელ დოკუმენტთან ერთად), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელია/მონაცემთა სუბიექტია კომპანიაში დასაქმებული პირი.

21.4 მონაცემთა სუბიექტის/უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სათანადო წესით, სამუშაო დღის ბოლომდე წარდგენილი განცხადება იმავე დღესვე რეგისტრირდება სათანადო წესით და გადაეცემა შემსრულებელს. არასამუშაო დროს ან/და უქმე და დასვენების დღეებში წარმოდგენილი განცხადება რეგისტრირდება შემდგომ/პირველივე სამუშაო დღეს და იმავე დღესვე გადაეცემა შესრულებელს.

21.5 თუ წარდგენილია ხარვეზიანი განცხადება, (მაგალითად, შეუძლებელია პირის იდენტიფიცირება ან განცხადება წარმოდგენილია წარმომადგენლის მიერ, თუმცა თან არ ერთვის მინდობილობა) ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს. წინამდებარე მუხლში, განცხადებაზე რეაგირებისათვის განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყება განმცხადებლის მიერ ხარვეზის გამოსწორებისთანავე. თუმცა, აღნიშნული წესი შესაძლებელია არ იქნეს მხედველობაში მიღებული, თუ, დაყოვნებამ შესაძლებელია,

გამოუწორებელი ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტს და ამის შესახებ მონაცემთა სუბიექტი თავად მიუთითებს და კომპანიიას აქვს გონივრული საფუძველი, მიიჩნიოს, რომ განცხადება წარდგენილია მონაცემთა სუბიექტის მიერ.

20.6 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს ან/და მიიღოს მათი ასლები იმ ფორმით, რომლითაც დაცულია კომპანიაში ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთან. მონაცემთა სუბიექტს აგრეთვე უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა ასლების მიწოდება განსხვავებული ფორმით, კომპანიის მიერ დადგენილი გონივრული საფასურის სანაცვლოდ და იმ შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თავად აირჩიოს ამ მუხლით პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ფორმა. ამასთანავე, თუ მონაცემთა სუბიექტი სხვა ფორმით არ მოითხოვს ინფორმაციის მიწოდებას, მას ინფორმაცია მიეწოდება იმავე ფორმით, რომლითაც მოხდა ინფორმაციის მოთხოვნა.

21.7 კომპანია უფლებამოსილია, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, დაადგინოს მონაცემთა გაცნობის ან/და მონაცემთა ასლების გაცემის საფასური.

21.8 კომპანია ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მისცეს წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მონაცემების გაცნობის შესაძლებლობა ან გადასცეს მათი ასლები მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი). ეს ვადა, განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ ეცნობება.

22. მონაცემთა გასწორება, განახლება და შევსება

22.1 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კომპანიას მოსთხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება.

22.2 მონაცემთა გასწორების, განახლების ან/და შევსების მოთხოვნა შესაძლებელია წერილობითი ფორმით, მოთხოვნის ელექტრონულ ფოსტაზე (info@geocredit.ge) გაგზავნის ან კომპანიაში ბეჭდური წერილობითი ფორმით წარდგენის გზით.

22.3 მონაცემთა გასწორების, განახლების ან/და შევსების მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, განცხადებას თან უნდა დაერთოს მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი ან მინდობილობა (პირის/განმცხადებლის მაინდენტიფიცირებელ დოკუმენტთან ერთად), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელია/მონაცემთა სუბიექტია კომპანიაში დასაქმებული პირი.

22.4 კომპანია ვალდებულია, გაასწოროს, განაახლოს ან/და შეავსოს მონაცემები მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი).

22.5 მონაცემთა სუბიექტის/უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სათანადო წესით, სამუშაო დღის ბოლომდე წარდგენილი განცხადება იმავე დღესვე რეგისტრირდება სათანადო წესით და გადაეცემა შემსრულებელს. არასამუშაო დროს ან/და უქმე და დასვენების დღეებში წარმოდგენილი განცხადება რეგისტრირდება შემდგომ/პირველივე სამუშაო დღეს და იმავე დღესვე გადაეცემა შესრულებელს.

22.6 თუ წარდგენილია ხარვეზიანი განცხადება, (მაგალითად, შეუძლებელია პირის იდენტიფიცირება ან განცხადება წარმოდგენილია წარმომადგენლის მიერ, თუმცა თან არ ერთვის მინდობილობა) ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს. წინამდებარე მუხლში, განცხადებაზე რეაგირებისათვის განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყება განმცხადებლის მიერ ხარვეზის გამოსწორებისთანავე. თუმცა, აღნიშნული წესი

შესაძლებელია არ იქნეს მხედველობაში მიღებული, თუ, დაყოვნებამ შესაძლებელია, გამოუწორებელი ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტს და ამის შესახებ მონაცემთა სუბიექტი თავად მიუთითებს და კომპანიიას აქვს გონივრული საფუძველი, მიიჩნიოს, რომ განცხადება წარდგენილია მონაცემთა სუბიექტის მიერ.

22.7 თუ კომპანია მონაცემთა სუბიექტისგან დამოუკიდებლად გამოავლენს, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები მცდარი, არაზუსტი ან/და არასრულია, კომპანია გონივრულ ვადაში ასწორებს, აახლებსს ან/და ავსებს მონაცემებს და მონაცემთა გასწორებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამის შესახებ აცნობებს მონაცემთა სუბიექტს. კომპანია არ არის ვალდებული მონაცემების გასწორების, განახლების ან/და შევსების თაობაზე შეატყობინოს მონაცემთა სუბიექტს, თუ მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება ტექნიკური შეცდომის გასწორებას/აღმოფხვრას უკავშირდება.

22.8 თუ არსებობს ობიექტური გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ მუხლით დადგენილ ვადაში მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას, კომპანია ცვლილების განხორციელების შესახებ ატყობინებს მონაცემთა სუბიექტს მასთან პირველი კომუნიკაციის განხორციელებისთანავე.

22.9 კომპანია ვალდებულია, ყველა მონაცემთა მიმღებს, აგრეთვე ამავე მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც თავად გადასცა მონაცემები, შეატყობინოს მონაცემთა განახლებისა და შევსების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ან მონაცემთა მიმღებების სიმრავლის ან/და არაპროპორციულად დიდი დანახარჯების გამო.

23. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების წესი

23.1 კომპანიაში მონაცემების დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება ხდება კომპანიის ინიციატივით ან მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე.

23.2 კომპანიის ინიციატივით მონაცემების წაშლა ან განადგურება ხდება კომპანიაში შესაბამისი პერსონალური მონაცემის შენახვის ვადის გასვლის შემდგომ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. ფიზიკური ფორმით დაცული მონაცემების განადგურება ხდება ქაღალდის გამანადგურებლის (შრედერის) მეშვეობით, ხოლო ელექტრონული ფორმით დაცული მონაცემების წაშლა ხდება ელექტრონულად, იმგვარად, რომ მათი აღდგენა შეუძლებელი იყოს არაპროპორციული ძალისხმევის გაწევის გარეშე.

23.3 მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების მოთხოვნა შესაძლებელია წერილობითი ფორმით, მოთხოვნის ელექტრონულ ფოსტაზე (info@geocredit.ge) გაგზავნის ან კომპანიაში ბეჭდური წერილობითი ფორმით წარდგენის გზით.

23.4 მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, განცხადებას თან უნდა დაერთოს მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი ან მინდობილობა (პირის/განმცხადებლის მაინდენტიფიცირებელ დოკუმენტთან ერთად), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელია/მონაცემთა სუბიექტია კომპანიაში დასაქმებული პირი.

23.5 მონაცემთა სუბიექტის/უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სათანადო წესით, სამუშაო დღის ბოლომდე წარდგენილი განცხადება იმავე დღესვე რეგისტრირდება სათანადო წესით და გადაეცემა შემსრულებელს. არასამუშაო დროს ან/და უქმე და დასვენების დღეებში წარმოდგენილი განცხადება რეგისტრირდება შემდგომ/პირველივე სამუშაო დღეს და იმავე დღესვე გადაეცემა შესრულებელს.

23.6 თუ წარდგენილია ხარვეზიანი განცხადება, (მაგალითად, შეუძლებელია პირის იდენტიფიცირება ან განცხადება წარმოდგენილია წარმომადგენლის მიერ, თუმცა თან არ ერთვის მინდობილობა) ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს. წინამდებარე მუხლში, განცხადებაზე რეაგირებისათვის განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყება განმცხადებლის მიერ ხარვეზის გამოსწორებისთანავე. თუმცა, აღნიშნული წესი შესაძლებელია არ იქნეს მხედველობაში მიღებული, თუ, დაყოვნებამ შესაძლებელია, გამოუწორებელი ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტს და ამის შესახებ მონაცემთა სუბიექტი თავად მიუთითებს და კომპანიიას აქვს გონივრული საფუძველი, მიიჩნიოს, რომ განცხადება წარდგენილია მონაცემთა სუბიექტის მიერ.

23.7 კომპანია ვალდებულია, მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი) შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება ან/და წაშალოს/გაანადგუროს მონაცემები ან მონაცემთა სუბიექტს აქცნობოს მოთხოვნაზე უარი, შესაბამისი საფუძვლის მითითებით და განუმარტოს უარის გასაჩივრების წესი.

23.8 კომპანიას უფლება აქვს, უარი თქვას წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ:

ა) არსებობს მონაცემთა დამუშავების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 ან მე-6 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი;

ბ) მონაცემები მუშავდება სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთების მიზნით;

გ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია გამოხატვის ან ინფორმაციის თავისუფლების უფლების განსახორციელებლად;

დ) მონაცემები მუშავდება კანონით გათვალისწინებული საჯარო ინტერესებისთვის არქივირების მიზნით, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის და მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლების განხორციელება შეუძლებელს გახდის ან მნიშვნელოვნად დააზიანებს დამუშავების მიზნების მიღწევას.

23.9 კომპანია ვალდებულია, ყველა მონაცემთა მიმღებს, აგრეთვე ამავე მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც თავად გადასცა მონაცემები, შეატყობინოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ან მონაცემთა მიმღებების სიმრავლის ან/და არაპროპორციულად დიდი დანახარჯების გამო.

23.10 მონაცემების განადგურების/წაშლის თაობაზე დგება პერსონალური მონაცემების განადგურების აქტი, სადაც, სულ მცირე, მიეთითება განადგურებული/წაშლილი მონაცემის თაობაზე ინფორმაცია, განადგურების/წაშლის საფუძველი, განადგურების/წაშლის ფორმა, განადგურებაზე/წაშლაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი და ხელმოწერა, განადგურების თარიღი.

23.11 პერსონალური მონაცემების წაშლასა და გადადგურებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი განისაზღვრება კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის აქტით.

23.12 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ ინფორმაცია მიიღოს შესაბამისი მოქმედების განხორციელებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

24. მონაცემთა დაბლოკვა

24.1 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კომპანიას მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკვა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

ა) მონაცემთა სუბიექტი სადავოს ხდის მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს;

ბ) მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა მონაცემთა სუბიექტი ეწინააღმდეგება მათ წაშლას და ითხოვს მონაცემთა დაბლოკვას;

გ) მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა მონაცემთა სუბიექტს ისინი სჭირდება საჩივრის/სარჩელის წარსადგენად;

დ) მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა;

ე) არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.

24.2 მონაცემთა დაბლოკვის მოთხოვნა შესაძლებელია წერილობითი ფორმით, მოთხოვნის ელექტრონულ ფოსტაზე (info@geocredit.ge) გაგზავნის ან კომპანიაში ბეჭდური წერილობითი ფორმით წარდგენის გზით.

24.3 მონაცემთა დაბლოკვის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, განცხადებას თან უნდა დაერთოს მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი ან მინდობილობა (პირის/განმცხადებლის მაინდენტიფიცირებელ დოკუმენტთან ერთად), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელია/მონაცემთა სუბიექტია კომპანიაში დასაქმებული პირი.

24.4 მონაცემთა სუბიექტის/უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სათანადო წესით, სამუშაო დღის ბოლომდე წარდგენილი განცხადება იმავე დღესვე რეგისტრირდება სათანადო წესით და გადაეცემა შემსრულებელს. არასამუშაო დროს ან/და უქმე და დასვენების დღეებში წარმოდგენილი განცხადება რეგისტრირდება შემდგომ/პირველივე სამუშაო დღეს და იმავე დღესვე გადაეცემა შესრულებელს.

24.5 თუ წარდგენილია ხარვეზიანი განცხადება, (მაგალითად, შეუძლებელია პირის იდენტიფიცირება ან განცხადება წარმოდგენილია წარმომადგენლის მიერ, თუმცა თან არ ერთვის მინდობილობა) ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს. წინამდებარე მუხლში, განცხადებაზე რეაგირებისათვის განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყება განმცხადებლის მიერ ხარვეზის გამოსწორებისთანავე. თუმცა, აღნიშნული წესი შესაძლებელია არ იქნეს მხედველობაში მიღებული, თუ, დაყოვნებამ შესაძლებელია, გამოუწორებელი ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტს და ამის შესახებ მონაცემთა სუბიექტი თავად მიუთითებს და კომპანიიას აქვს გონივრული საფუძველი, მიიჩნიოს, რომ განცხადება წარდგენილია მონაცემთა სუბიექტის მიერ.

24.6 კომპანია ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში დაბლოკოს მონაცემები ამ მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა დაბლოკვამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

ა) კომპანიის მიერ კანონით ან/და კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

ბ) კანონის შესაბამისად საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით კომპანიისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას;

გ) კომპანიის ან მესამე პირის ლეგიტიმურ ინტერესებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის, განსაკუთრებით არასრულწლოვანის, უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

დ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას.

24.7 მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კომპანია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მონაცემთა განბლოკვის შესახებ, თუ არსებობს ამ მუხლის 24.6. პუნქტის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი.
24.8 მონაცემები უნდა დაიბლოკოს მათი დაბლოკვის მიზეზის არსებობის ვადით და ამ ვადის განმავლობაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილება თან უნდა ერთვოდეს შესაბამის მონაცემებს.
24.9 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია მონაცემთა დაბლოკვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ან მონაცემთა დაბლოკვაზე უარის თქმის საფუძვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღისა.
24.10 მონაცემთა დაბლოკვის შემთხვევაში მონაცემები, გარდა მათი შენახვისა, შესაძლოა სხვაგვარად დამუშავდეს შემდეგ შემთხვევებში:
ა) მონაცემთა სუბიექტის თანხმობით;
ბ) სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასასაბუთებლად;
გ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის ინტერესების დასაცავად;
დ) კანონის შესაბამისად, საჯარო ინტერესის დასაცავად.
24.11 პერსონალური მონაცემების დაბლოკვაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი განისაზღვრება კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის აქტით.

25. მონაცემთა გადატანის უფლება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით, მონაცემთა ავტომატური დამუშავების შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კომპანიისგან სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოს მის მიერ მიწოდებული მონაცემები ან მოითხოვოს ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.

26. თანხმობის გამოხმობა

26.1 კომპანიის მიერ მონაცემების დამუშავება ხდება მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც ინახება კომპანიაში.
26.2 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს კომპანიისთვის მიცემული, პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე გაცემული თანხმობა.
26.3 მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თანხმობა გამოიხმოს იმავე ფორმით, რომლითაც თანხმობა განაცხადა.
25.4 თანხმობის გამოხმობის ერთ-ერთი ფორმაა თანხმობის გამოხმობის თაობაზე განცხადების კომპანიის ელექტრონულ ფოსტაზე (info@geocredit.ge) გაგზავნა ან კომპანიაში ბეჭდური წერილობითი ფორმით წარდგენა.
26.5 თანხმობის გამოხმობის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, განცხადებას თან უნდა დაერთოს მონაცემთა სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი ან მინდობილობა (პირის/განმცხადებლის მაინდენტიფიცირებელ დოკუმენტთან ერთად), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელია/მონაცემთა სუბიექტია კომპანიაში დასაქმებული პირი.
26.6 მონაცემთა სუბიექტის/უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სათანადო წესით, სამუშაო დღის ბოლომდე წარდგენილი განცხადება იმავე დღესვე რეგისტრირდება სათანადო წესით და გადაეცემა შემსრულებელს. არასამუშაო დროს ან/და უქმე და დასვენების დღეებში

წარმოდგენილი განცხადება რეგისტრირდება შემდგომ/პირველივე სამუშაო დღეს და იმავე დღესვე გადაეცემა შესრულებელს.

26.7 თუ წარდგენილია ხარვეზიანი განცხადება, (მაგალითად, შეუძლებელია პირის იდენტიფიცირება ან განცხადება წარმოდგენილია წარმომადგენლის მიერ, თუმცა თან არ ერთვის მინდობილობა) ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს. წინამდებარე მუხლში, განცხადებაზე რეაგირებისათვის განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყება განმცხადებლის მიერ ხარვეზის გამოსწორებისთანავე. თუმცა, აღნიშნული წესი შესაძლებელია არ იქნეს მხედველობაში მიღებული, თუ, დაყოვნებამ შესაძლებელია, გამოუწორებელი ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტს და ამის შესახებ მონაცემთა სუბიექტი თავად მიუთითებს და კომპანიიას აქვს გონივრული საფუძველი, მიიჩნიოს, რომ განცხადება წარდგენილია მონაცემთა სუბიექტის მიერ.

26.8 მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს.

26.9 მონაცემთა სუბიექტს თანხმობის გამოხმობამდე უფლება აქვს, კომპანიას მოსთხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ.

27. მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა

27.1 მონაცემთა სუბიექტის მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღებასთან; მონაცემთა გაცნობისა და ასლის გადაღებასთან; მონაცემთა გასწორებასთან, განახლებასა და შევსებასთან; მონაცემთა დამუშავების შეწყვეტასთან, წაშლასთან ან განადგურებასთან; მონაცემთა დაბლოკვასთან; მონაცემთა გადატანასთან; ავტომატიზებული ინდივიდუალურ გადაწყვეტილების მიღებასთან; თანხმობის გამოხმობასთან; ინფორმირებასთან დაკავშირებული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ამით არ ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ეს არის აუცილებელი და პროპორციული ზომა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამ უფლებების განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

ა) სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;

ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;

გ) დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;

დ) ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;

ე) მონაცემთა სუბიექტის მიერ პროფესიული, მათ შორის, რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;

ვ) 27.1. პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ზ“ ან „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სფეროებში მარეგულირებელი ან/და ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელებას;

ზ) მონაცემთა სუბიექტის ან/და სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებას;

თ) სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვას;
ი) სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებას.
27.2 27.1 პუნქტით გათვალისწინებული ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.
27.3 თუ კომპანია ამ მუხლით გათვალისწინებული რომლიმე საფუძვლით იღებს მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის გადაწყვეტილებას, ამის თაობაზე, წერილობითი ფორმით აცნობებს მონაცემთა სუბიექტს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ინფორმაციის მიწოდება საფრთხეს შეუქმნის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის (მიზნების) მიღწევას.
27.4 კომპანიის მიერ, „საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით დარეგულირებული მონაცემთა სუბიექტის მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღებასთან; მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღებასთან; მონაცემთა გასწორებასთან, განახლებასა და შევსებასთან; მონაცემთა დამუშავების შეწყვეტასთან, წაშლასთან ან განადგურებასთან; მონაცემთა დაბლოკვასთან; მონაცემთა გადატანასთან; ავტომატიზებული ინდივიდუალურ გადაწყვეტილების მიღებასთან; თანხმობის გამოხმობასთან; ინფორმირებასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელება უზრუნველყოფილია უსასყიდლოდ, გარდა ამავე კანონით დადგენილი გამონაკლისებისა. მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნის არაგონივრული სიხშირით წარდგენის შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია უარი განაცხადოს მის შესრულებაზე, რის შესახებაც ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მონაცემთა სუბიექტს და განუმარტოს გასაჩივრების უფლების შესახებ.
27.5 მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვისა და მის მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება კომპანიას.
27.6 მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის უფლებების შეზღუდვის შემთხვევებს ორგანიზაცია აღრიცხავს ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმით, სადაც მითითებულია მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის უფლების შეზღუდვის საფუძვლები.
27.7 მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის შემთხვევაში, მისთვის ამ გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაციის “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მიწოდების უზრუნველსაყოფად, ამასთან, შესაბამისი კონსულტაციის მიღების მიზნით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი განისაზღრება კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის აქტით.

28. ინციდენტზე რეაგირების წესი

28.1 კომპანიის უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყონებლივ - ინციდენტის აღმოჩენისთანავე - აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.
28.2 კომპანიის მხრიდან ინციდენტის შეფასება უნდა განხორციელდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან ერთად, მასთან კონსულტაციის შედეგად, მიუკერძოებლად და ფაქტების ჯეროვანი შეფასების საფუძველზე.
28.3 თუ ინციდენტი მაღალი ალბათობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, კომპანია ინციდენტის აღმოჩენიდან პირველი შესაძლებლობისთანავე, აცნობებს მონაცემთა

სუბიექტს ინციდენტის შესახებ და მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე მიაწოდებს შემდეგ ინფორმაციას:
ა) ინციდენტისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების ზოგადი აღწერა;
ბ) ინციდენტით გამოწვეული სავარაუდო/დამდგარი ზიანის, მის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
გ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ან სხვა პირის საკონტაქტო მონაცემები.
28.4 თუ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება არაპროპორციულად დიდ ხარჯებს ან ძალისხმევას მოითხოვს, კომპანია ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია გამოაქვეყნოს მის ვებ-გვერდზე, ისეთი ფორმით, რომელიც ჯეროვნად უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

29. კომპანიაში არსებული ძირითადი მონაცემების სახეები, მათი შეგროვების/მოპოვების წყაროები და დამუშავების საფუძვლები

ა) კომპანიაში დასაქმებულ პირთა პირადი საქმეების წარმოება

მონაცემები, რომელიც მუშავდება დასაქმებულების პირადი საქმეების წარმოებისას	საიდენტიფიკაციო მონაცემები; საკონტაქტო ინფორმაცია; სოციო-დემოგრაფიული მონაცემები; სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული მონაცემები; ფინანსური მონაცემები; საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია; ტექნიკური ინფორმაცია; სხვა ინფორმაცია.
განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, რომლებიც მუშავდება დასაქმებულების პირადი საქმეების წარმოებისას	ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია; ოჯახის წევრის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია; ნასამართლეობის შესახებ ინფორმაცია; ნარკოტიკული აღრიცხვის შესახებ ინფორმაცია.
მონაცემების შეგროვების წყარო	ყველა მონაცემი გროვდება უშუალოდ დასაქმებულისგან. ამასთან, დასაქმებული თანხმობას აძლევს კომპანიას გადაამოწმოს მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობა, მათ შორის, მონაცემების საინფორმაციო ბაზებში.
მონაცემების დამუშავების დანიშნულება, მიზანი და საჭიროება	• კომპანიაში დასაქმების მსურველი პირის კვალიფიკაციის შესაბამისობის განსაზღვრა დასაკავებელ თანამდებობასთან; • დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ანალიზი და გადამზადების პროცესის დაგეგმვა; • კომპანიასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული კომპანიის ვალდებულებების

	შესრულება, მათ შორის გაწეული საქმიანობის ანაზღაურება; • დასაქმებულის მიერ, კომპანიის შინაგანაწესით განსაზღვრული შესაბამისი შეღავათით/წახალისებით სარგებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება; • საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, შრომის კანონდებლობით განსაზღვრული დასაქმებულის უფლებების უზრუნველყოფა.
მონაცემების დამუშავების საფუძველი	• დასაქმებულის თანხმობა მის შესახებ მონაცემების დამუშავებაზე; • სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება; • დასაქმებულის კანონიერი ინტერესი; • კომპანიის კანონიერი ვალდებულება.

ბ) კომპანიაში დასაქმების მსურველ პირთა პირადი საქმეების წარმოება

მონაცემები, რომელიც მუშავდება კომპანიაში დასაქმების მსურველ პირთა (კანდიდატების) პირადი საქმეების წარმოებისას	საიდენტიფიკაციო მონაცემები; საკონტაქტო ინფორმაცია; სოციო-დემოგრაფიული მონაცემები; საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია; სხვა ინფორმაცია.
განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, რომლებიც მუშავდება კანდიდატების პირადი საქმეების წარმოებისას	კანდიდატთან შრომითი ურთიერთობის დამყარებამდე არ ხდება მისი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შეგროვება. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც კანდიდატი თავისი ინიციატივით წარმოადგენს მსგავს მონაცემებს, კომპანიის მიერ, დადგენილი წესით, ხდება ამ მონაცემის წაშლა/განადგურება და ამის თაობაზე ეცნობება კანდიდატს.
მონაცემების შეგროვების წყარო	მონაცემები გროვდება უშუალოდ კანდიდატისგან.
მონაცემების დამუშავების დანიშნულება, მიზანი და საჭიროება	კომპანიაში დასაქმების მსურველი პირის კვალიფიკაციის შესაბამისობის განსაზღვრა დასაკავებელ თანამდებობასთან.
მონაცემების დამუშავების საფუძველი	• კანდიდატის თანხმობა მის შესახებ მონაცემების დამუშავებაზე; • კომპანიის კანონიერი ინტერესი.

გ) კლიენტთა/მსესხებელთა პირთა პირადი საქმეების წარმოება

მონაცემები, რომელიც მუშავდება კლიენტის პირადი საქმეების წარმოებისას	საიდენტიფიკაციო მონაცემები; საკონტაქტო ინფორმაცია; სოციო-დემოგრაფიული მონაცემები; სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული; ფინანსური მონაცემები; საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია; ტექნიკური ინფორმაცია; სხვა ინფორმაცია.
განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, რომლებიც მუშავდება კლიენტის პირადი საქმეების წარმოებისას	ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია.
მონაცემების შეგროვების წყარო	მონაცემები გროვდება უშუალოდ კლიენტისგან. ამასთან, კლიენტი თანხმობას აძლევს კომპანიას, გადაამოწმოს მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობა, მათ შორის, მონაცემების საინფორმაციო ბაზებში.
მონაცემების დამუშავების დანიშნულება, მიზანი და საჭიროება	• პირის გადახდისუნარიანობის ანალიზი, მსესხელებთან ხელშეკრულების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.
მონაცემების დამუშავების საფუძველი	• მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; • მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დადება; • სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება; • კომპანიის კანონიერი ვალდებულება; • კომპანიის კანონიერი ინტერესი

30. საკონტაქტო ინფორმაცია

მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს ორგანიზაციას წინამდებარე პოლიტიკასთან დაკავშირებული, მისთვის საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: (+99532)2 -500-100 ელ-ფოსტა: infro@geocredit.ge